ამინდი

საშუალო დონე

საკითხავი წიგნები ენისა და საგნის (ბუნებისმცოდნეობის) ინტეგრირებულ სწავლებაში მხარდასაჭერად მომზადდა „სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის“ პროექტის "საზოგადოების ინტეგრაცია მულტილინგვური განათლების გზით“ ფარგლებში, რომელიც დაფინანსებულია ეუთოს ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისრის ოფისის მიერ.

ავტორები:

თამარ ჯაყელი, შალვა ტაბატაძე, ნათია გორგაძე,
ნანა დალაქიშვილი, თინათინ ცერაძე, თამარ ანთაძე, ელენე ჯაჯანიძე

რედაქტორი

კახა გაბუნია

დიზაინერი

ილია ჭრელაშვილი

© „სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი“ (CCIIR)

ISBN

თბილისი
2019 წელი

ამინდი

საშუალო დონე

ამინდი იცვლება: ხან წვიმს, ხან თოვს, ხან ქარი ქრის, ხან ცხელა, ხან ცივა.

სხვადასხვა ადგილზე სხვადასხვა ამინდია.

სხვადასხვა დღეს ერთ ადგილზე სხვადასხვა ამინდია.





ზოგჯერ ცა მოწმენდილია და ღრუბლები არ ჩანს, ზოგჯერ ცა მოღრუბლულია. ზოგი ღრუბელი თეთრია, ზოგი - ნაცრისფერი.





ღრუბლებით შეიძლება გავიგოთ, როგორი ამინდი იქნება. როცა ცაზე თეთრი ღრუბლებია, კარგი ამინდია მოსალოდნელი. როცა ცაზე მუქი ნაცრისფერი ღრუბლებია, ცუდი ამინდია მოსალოდნელი.

ქარი მოძრავი ჰაერია. როცა ჰაერი მოძრაობს, ქარიანი ამინდია. **ქარის სიჩქარე** იცვლება. ზოგჯერ სუსტი ქარი უბერავს, ზოგჯერ - ძლიერი ქარი.

ძალიან ძლიერი ქარი **ქარიშხალია**. ქარიშხლიან ამინდში ზოგჯერ წვიმს და თოვს. ხანდახან ქარიშხლის დროს **ელვა** და ჭექა-ქუხილია.



წვიმა თბილ ამინდში მოდის. თუ მაღლა ჰაერში ცივი ქარი ქრის, მაშინ წვიმის წვეთები გაიყინება და ყინულის ბურთულებად გადაიქცევა. გაყინულ ბურთულებს სეტყვა ჰქვია.

ძლიერი წვიმის დროს წყალი მდინარის კალაპოტიდან გადმოდის და ხმელეთს ფარავს. ამას **წყალდიდობა** ჰქვია.



თოვლი ცივ ამინდში მოდის. თოვლიან ამინდში ხანდახან ქარი უბერავს. ამას ქარბუქი ჰქვია.



ამინდი **წელიწადის დროების** მიხედვით იცვლება. წელიწადში ოთხი დროა: გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა, ზამთარი.

შემოდგომაზე ხეებს ფოთლები სცვივა, გრილი ამინდია.

ზამთარში ცივა, დღეები მოკლეა. გაზაფხულზე თბილა, ხეებს კვირტები და ფოთლები გამოსდით.

ზაფხულში ცხელა, დღეები გრძელია.

როგორი ამინდია დღეს?

წელიწადის რომელი დროა?